ცნობის ფურცელი

№ -038 კვირა, 12 იანვარი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2038

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—5 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

ამ №-თან ხელის-მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების“ მე-83 №-რი.

მიიღება ხელის მოწერა **1903** წლისათვის

ყოველ დღიურ გაზეთ

„ცნობის ფურცელ“-ზე

სურათებიანის დამატებით კვირაში-ორჯელ

(წელიწადი მერვე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიასა და რუსეთში:	საზღვარ-გარედ:
1 წლით—6 მ., 6 თვით—4 მ., 1 თვით—75 კ.	1 წლით—9 მ., 6 თვით—5 მ., 1 თვით—90 კ.

წლიურ ფასის განაწილება: ხელის-მოწერისათანავე 4 მან., დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალ

„მოამბე“-ზე

(წელიწადი მეათე)

ფასი ჟურნალისა

კავკასიასა და რუსეთში:	საზღვარ-გარედ:
1 წლით—10 მ., 6 თვით—6 მ. 3 თვით—3 მ.	1 წლით—13 მ., 6 თვით—7 მ., 3 თვით—5 მ.

ვინც **„მოამბეს“** მთელის წლით გამოიწერს, **სურათებიანი დამატებანი** და **„ცნობის ფურცელი“** უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

წლიურ ფასის განაწილება: პირველად—6 მ. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ., 1-ლ აგვისტომდე დანარჩენი.

როგორც „ცნობის ფურცლის“, ისე „მოამბის“ ხელის-მომწერთ პრემიად გაეგზავნებათ

შოთა რუსთაველის

ახალი სურათი,

წიგნ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის საფოტოტიპიოში დამზადებული. სურათი ზომით 9×12 ვერშოკი იქმნება. ქალაქ გარედ ხელის მომწერთ 30 კაპეიკი უნდა წარმოუდგინონ რედაქციას სურათის გასაგზავნად. ეს სურათი ცალკე 1 მან. 50 კაპ. ეღირება.

მომავალ წელს **„მოამბე“**-ში, სხვათა შორის, დაიბეჭდება რუსთა შესანიშნავ მწერლის **ლ. ნ. ტოლსტოის** რომანის „ვოინა ი მირ“-ის თარგმანი, „რომის ისტორია“ და სხვა.

რედაქცია და **კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. **ტელეფონი № 372.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели“.

მღვდელი იროდიონ გურგენიძე და მარიამ იოანეს ასული გურგენიძისა უაწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ძისა თვისისა

ალექსანდრესას.

პანაშვიდები დილით 12 საათზე და საღამოთი 8 საათზე. გამოსვენება—დიდუბის ეკკლესიაში კვირას, 12 იანვარს. (2—2)

მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსების დღეს, ამა წლის 12 იანვარს, «ტფილისის კრუჟოკ»-ის დარბაზში გამართება

ბალი

საკონცერტო განყოფილებით

სტუდენტთა დამხმარებელ კავკასიის საზოგადოების საშუალებათა გასაძლიერებლად.

მონაწილეობას მიიღებენ: ხორო ბ. იაიჩკოვის ლოტპარობით, სტუდენტთა ხორო, ოპერის მომღერლები, ბალალაიკის დამკვრელნი. დარბაზი სადღესასწაულოდ იქნება მორთული. კონცერტის დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

ბალის დიასახლისი **გნ. დ. რ. ჭავჭავაძისა.**

ბილეთების შეძენა შეიძლება: ლ. ბ. ხიდდეკელისაგან (წიგნის მაღაზიაში), გამგეობის თავმჯდომარის ს. მ. ლავროვისაგან (მალაია სუდებნ. № 5), ხაზინადრის რ. ა. იოანნისიანისაგან („არგონავტის“ რედ.) და „კრუჟოკ“-ის შვეიცარისაგან. (3—3)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

ბედივანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 9—10 საათამდე.

ბ. ვ. ჩალალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. კამოევი.—საშარდე (ხირურგიული, ავადმყოფობისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

დ. ა. ბედივანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 კვირაობით 10—11.

ა. ი. ბარხუდაროვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ზრ. ვ. ხოზოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ბ. ვ. ჩალალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.) მასაჟი და სამქიმო გიმნასტიკა“, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 6 ს.—8 საათ. საღამოს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანათიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, №-21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში).

ტელეფონი № 274 (წ.)

სრულიად ახლად გადაკეთებული

„იუჟნიე ნომერა“

მოხდენილად, წმინდად და შესაფერისად მოწყობილ ოთახებით; მოსამსახურე ქალებითა და კაცებით; ყოველგვარად მოწყობილია საცხოვრებლად. ნომრების ფასი სამი აბაზიდან დაწყებული და უფრო ძვირად; თვიურად 15 მან. და მეტიც. **ბარონის ქუჩა,** ფოსტისა და ტელეგრაფის ახლო, ქალაქის შუაგულში. (6—4)

ე ქ ი მ ი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავადმყოფებს დილის 11—12 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642.

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 39. (წო.)

საზღვარ-გარედ

ავსტრია. არ იქმნა, არაფერი ეშველა ჩეხ-გერმანელთა საქმეს ავსტრიაში. რამდენს არა სცდილობს კერბერი, რამდენ ხრიკებს არა ხმარობს, მაგრამ ჩეხ-გერმანელთა შერიგებას არაფერი ეშველა. უამისოდ-კი ავსტრიის სახელმწიფო მექანიზმი შეჩერებულია და პარლამენტარიზმი ხელ-ფეხ შეკრული. უმთავრესი სადავო და სალაპარაკო ჩეხელებისა, როგორც ვუწყით, სამშობლო ენაა. ჩეხნი სამართლიანად თხოულობენ, ჩვენ სამშობლოში, ჩვენს მიწა-ადგილზე ჩვენი ენა უნდა ბატონობდესო, მაგრამ გერმანელნი აგრე ადვილად არ უთმობენ და სამართლიან თხოვნას არ აკმაყოფილებენ. კერბერმა შეიმუშავა რამდენიმე პროექტი ენათა შესახებ, მაგრამ ჩეხებმა არც ერთი არ შეიწყნარეს. ასეთივე ბედი ეწვია კერბერის უკანასკნელ პროექტს. ამ პროექტით საკუთრივ ჩეხია (ჩეხიის გარდა ჩეხელების მიწა-ადგილად ითვლება მორავია და სილეზია) უნდა გაიყოს 10 ოლქად; აქედან 5 ჩეხელების ოლქად იქმნება ცნობილი, 3 გერმანელებისა და 2—ორივესად. თვით ეს განაწილება უსამართლო და უკანონოა. ბევრი ისეთი ადგილი, სადაც გერმანელებთან ერთად ჩეხელები სცხოვრობენ, კერბერმა გერმანელების ოლქში მოაქცია. აშკარაა, ამ ოლქებში ბატონებად ისევ გერმანელები იქმნებიან. თვით ჩეხთა ოლქებში ჩეხური ენა სავსებით არ იქმნება მიღებული. კერბერი ბევრს საქმესა და წარმოებაში ისევ გერმანულ ენასა სტოვებს. რაღა თქმა უნდა, ჩეხებმა არ შეიწყნარეს ეს წინადადება. იმათის აზრით, ჩეხია განუყოფელია და ამ განუყოფელ კუთხეში ჩეხური ენა სავსებით უნდა ბატონობდეს. კერბერის პროექტი მორავიასაც ბევრს ვერაფერს ჰპირდება. მორავიის მცხოვრებთა 4/5 ს ჩეხნი შეადგენენ, გერმანელნი მხოლოდ აქა-იქ ქალაქებში სცხოვრობენ. და აი, ასეთ ადგილას, კერბერის პროექტით, ორივე ენა თანასწორი უნდა იყოს. ეს კიდევ არაფერი, რომ კერბერი გერმანულ ენას ზოგიერთ უპირატესობას არ აძლევდეს, რომლის წყალობითაც მორავიას ისევ გერმანელნი ჩაიგდებენ ხელთ. ყველა ამის გამო ჩეხებმა უარ-ჰყვეს კერბერის პროექტი და გადასწყვიტეს ობსტრუქცია გაუწიონ მთავრობას და ხელი შეუშალონ ავსტრია-ჰუნგრეთის შეთანხმებას.

აასრულეს კიდეც თავიანთი გადაწყვეტილება. 2 იანვარს განახლდა 5 დეკემბერს შეწყვეტილი პარლამენტის სხდომა. ეს სხდომა ჩეხთა ობსტრუქციით დაიწყო. პირველად სიტყვა წარმოსთქვა ჩეხმა ფრესლმა, დაიწყო 11 საათზე და ილაპარაკა ჩეხურად სწორედ რვა საათი. ფრესლს სიტყვა ჩამოართვა კლოფაჩმა; იმანაც რამდენიმე საათი ილაპარაკა ჩეხურად. ამ დროს დარბაზი თითქმის ცარიელი იყო. შემდეგ ჩეხებმა მოითხოვეს სხდომის შეწყვეტა; მაგრამ პრეზიდენტმა არა ჰქმნა. ასტყდა ხმაურობა, ბრახაბრუხი, ყვირილი. საღამოს 9 საათზე ისევ ფრესლმა დაიწყო ლაპარაკი. თავშივე განაცხადა, რომ დილამდე ენას არ გავიჩერებო. ბევრ დეპუტატს პალატაში ეძინა, ზოგი იატაკზედაც-კი წამოწვა. დიდი მუშაობა იყო ამ დროს ბუფეტში: ღამის 3 საათზე ბუფეტი დააცალიერეს. მოუთმენლად მოელოდნენ ახალ სანოვაგეს. 5 საათზე მოიტანეს საჭმელი და დეპუტატები ხელ-ახლა დაცხრნენ. თავმჯდომარის თანამდებობას ჯერ-ჯერით ასრულებდნენ პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტები; ყოველ სამის საათის შემდეგ იცვლებოდნენ. ფრესლმა დილის 8 საათზე, როგორც იქმნა, გაათავა სიტყვა, მაგრამ ამ დროს ვიცე-პრეზიდენტი კაიზერი უქეიფოდ შეიქმნა, სხდომა ცოტას ხნით შესწყვიტეს და 10 საათზე ისევ განაახლეს. კერბერმა დაიწყო ლაპარაკი უნგრეთთან შეთანხმების შესახებ, მაგრამ აღარ დააცალეს: ჩეხებმა ისევ ობსტრუქციას მიჰყვეს ხელი. ჩეხები ყველანი ჩეხურად ლაპარაკობდნენ. ზოგს ხმა წაუვიდა. 3 საათზე ჩეხებმა ითხოვეს სხდომის დამთავრება, მაგრამ გერმანელებმა უარი სთქვეს და შეუდგნენ მზადებას მეორე ღამის გასათევად.

შეერთებული შტატები. ჩვენ მკითხველებს ეხსომებათ, რომ წარსულ წელს პენსილვანიის ქვა-ნახშირის მადნებში დიდი გაფიცვა მოახდინეს მუშებმა. მადნის პატრონები გაკერპდნენ, არ შეასრულეს მუშების მოთხოვნილება და აკი გაფიცვამაც მთელი ხუთი თვე გასტანა. ჯერ გაფიცვის დროსვე საშინლად გაძვირდა ნახშირი. მთელი ხალხი აჩივლდა და ლანძღვა დაუწყო კერპ და გაუმაძღარ კაპიტალისტებს. პრეზიდენტი რუზველტი საქმეში ჩაერია და, როგორც იყო, ბოლო მოუღო გაფიცვას. მადნებში მუშაობა დაიწყო და ნახშირის ფასმაც დროებით დაიწია, მაგრამ დადგა თუ არა ზამთარი და დაიწყო სიცივე, ნახშირი ისევ ხელად გაძვირდა. გაძვირებას ვინა ჩივის, სულაც არ იშოვება თურმე. „ბერლინერ ტაგებლატ“-ს სწერენ ამის თაობაზე ნიუ იორკიდან:

ქალ. არკოდის სამასი მოქალაქე, იმათ შორის ბანკირები და სამღვდელო პირები, შეიკრიბნენ და ძალით ხელში ჩაიგდეს მთელი მატარებელი—16 ვაგონი ქვა-ნახშირი. ამნაირი ამბები სხვა ადგილებშიაც მოხდა. ნიუ-იორკში ქვანახშირი საჯაროდ იყიდება. ქვა-ნახშირის ტრესტმა თავის საწყობები აქედან სხვაგან გადაიტანა: ამის გამო ნახშირის ფასმა საშინლად აიწია, ტონა 10—15 დოლარად იყიდება; მოსალოდნელია, კიდევაც აიწიოს. ლონდონის გაზეთებს ამავე საგნის თაობაზე სწერენ ნიუ-იორკიდან:

ზოგიერთ ადგილას ქვა-ნახშირს, რაც უნდა დიდი ფასი აძლიოთ, ვერ იშოვნით; თითონ მდიდრებსაც-კი აკლიათ საწვავი ქვა-ნახშირი. ჩიკაგოში ერთ ღამეს, პოლიციის ცნობით, 7 კაცი გაყინულა. ნებრასკის შტატის სოფლებში სიმინდით ათბობენ სახლებს. სხვადა-სხვა ადგილას ყოველ დღე ფაბრიკები იკეტება. სამუშაო სახლის მმართველობამ ტოლედოში ყველანი გაანთავისუფლა, ვინც ქვა-ნახშირის მოტაცების გულისთვის იყვნენ დატუსაღებულნი, და ამას იქით აღარავის აღარ დაატუსაღებს ნახშირის მოპარვაზე. ღარიბ

ხალხს კეროსინის სიძვირემაც გაუჭირვა საქმე, ერთი გალონი კეროსინი ეხლა 12 ცენტად იყიდება, როდესაც ამას წინად 8 ცენტად იყიდებოდა, შემაც ერთი ორად გაძვირდა.

მაღნის მუშების კავშირის პრეზიდენტმა მიჩელმა მუშებს სთხოვა: რაც კი შეიძლება, ეცადენით, მეტი ნახშირი გამოიღოთო, სანამ უფრო თბილი ამინდი არ დადგება და ნახშირი ისე საჭირო აღარ იქნებაო. ნიუ-იორკის ქალაქის მოურავი სეტლოუ სამშაბათს 8 დიდ რკინის გზის წარმომადგენელს მოელაპარაკა ნახშირის გადმოტანის თაობაზე. დიდის ხნის თათბირის შემდეგ, რკინის გზის ბობოლეები დასთანხმდნენ, ტონა ნახშირს 5 დოლარად ჩავაბარებთ მოვაჭრეებს, იმ პირობით, რომ მოვაჭრეებმა ღარიბ ხალხს საწყაო 10 ცენტად მიჰყიდონო. წარმომადგენელთა პალატის საფინანსო კომიტეტმა დაადგინა, მთელის ერთის წლის განმავლობაში სხვა ქვეყნებიდან მისულ ქვა-ნახშირზე ბაჟი აღარ ავიღოთო. წარმომადგენელთა პალატამ ორშაბათს დაადგინა, პალატის სავაჭრო კომიტეტმა ქვანახშირის სიძვირის მიზეზები გამოიკვლიოსო. საფინანსო კომიტეტის თავმჯდომარემ პენმა გამოაცხადა შემდეგ, საფინანსო კომიტეტიც იმ აზრისაა, რომ სხვაგნებურ ქვანახშირზე ან დროებით ბაჟი აღარ ავიღოთ, ან არა და შევამციროთ ეს ბაჟიო.

ახალი ამბავი

◆ ტფ. ქალაქის გამგეობის წევრს, თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილს, განცხადება წარუდგენია გამგეობისათვის ქალაქმაც აღნიშნოს რუსულ **პრესის 200 წლის იუბილეი.** მისის წინადადებით: 1) უნდა დაარსდეს ორი სტიპენდია ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებში ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა ბავშების აღსაზრდელად; 2) მიხეილის საავადმყოფოში ერთი ადგილი ქალაქმა უნდა შეიძინოს ავადმყოფ მწერლის სამკურნალოდ და 3) შუამდგომლობა უნდა იქმნას აღძრული, რომ ტფ. თვით-მმართველობას ნება მიეცეს გამოსცეს კვირაში ორჯელ გაზეთი „დუმსკია იზვესტია“. ეს განცხადება მალე საბჭოს წარედგინება განსახილველად.

◆ ტფ. საბჭოს ხმოსანმა ბ. ყარა-მურზამ წარუდგინა გამგეობას განცხადება **დიდუბის** ქუჩებისა და, საზოგადოთ, დიდუბის მდგომარეობის გაუმჯობესების საჭიროების შესახებ. ხმოსანი დაწვრილებით აღნიშნავს დიდუბის სხვა-და-სხვა მოუწყობლობას და თხოულობს ახლავ შეუდგეს ქალაქი ამ ნაკლის შესწორებას, განსაკუთრებით ქუჩების განათებასა და მოკირწვლას და სანიტარულ მდგომარეობის გაუმჯობესებას.

◆ დღეს, 12 იანვარს, „**კავკასიელ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების**“ სასარგებლოდ „ტფილისის კრუჟოკ“-ში გაიმართება საცეკვაო საღამო. მონაწილეობას იღებენ ოპერის მომღერალნი და ხორო. საღამოს დიასახლისად ქნ. დ. რ. ჭავჭავაძისა იქმნება.

◆ ზეგ, 14 იანვარს, ნინოობა დღეს, **ბათუმში ადგილობრივ ქართულ სკოლის სასარგებლოდ** გაიმართება ჩვეულებრივი საღამო.

◆ „რუსსკია ვედომოსტ“-ში ვკითხულობთ: „ამ მდგომარე წელს ამიერ-კავკასიის საეროზო სადარაჯო რაზმის შესანახი თანხა 1,600,000 მანეთით გადიდებულ იქმნა“.

◆ მდგომარე წელს გზათა სამინისტროსთან მოხდება რკინის გზათა უფროსების კრება. უმთავრესი საგანი, რომელიც კრებამ უნდა განიხილოს, არის რკინის გზების დაბალ მოსამსახურეთა **მდგომარეობის გაუმჯობესება** და იმათთვის სადგომების აგება.

◆ 24 მარტს კონცესიის ვადა გასდის **ავჭალის ცხენის რკინის** გზის კონტრაგენტებს. ამ დროს ქალაქს შეუძლიან გამოისყიდოს ხსენებული გზა.

◆ საექიმო ნაწილის მმართველობას კავკასიაში ცნობა მოსვლია, რომ საექიმო დეპარტამენტს საბოლოოდ გადაუწყვეტია ქალაქის თვით-მართველობას გადასცეს **პროსტიტუციაზე ყურის გდება.** ამისათვის საგუბერნიო ქალაქებში დაარსებული იქმნება განსაკუთრებული კომიტეტები ვიცე-გუბერნატორების თავმჯდომარეობითა და ქალაქის გამგეობის წევრებისა და ქალაქის ექიმების მონაწილეობით.

◆ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ მიჰმართა თხოვნით სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულს კავკასიაში გადმოსცეს 7200 მან., რომელიც საზოგადოებას დაენიშნა შემწეობად **ტფ. საბაღოსნო სკოლისა** და მასთან არსებულის ბაღის შესანახად.

◆ ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა წარმოდგენას **ვლ. ალექსი-მესხიშვილის** სასარგებლოდ ჰმართავს ხუთშაბათს, 16 იანვარს. ჰფიქრობენ ქ-ნ ჩხეიძის მონაწილეობით იბსენის პიესის „ნორას“ წარმოდგენას.

◆ ხმ. ფლორინსკიმ საფინანსო კომისიაში აღძრა საკითხი იმის შესახებ, რომ მოსპობილ იქმნას ფულის გადახდევინება ძველ ტანისამოსის **დეზინფექციისათვის** ქალაქის სადეზინფექციო კამერაში, რადგან ძველ ტანისამოსის გამყიდველნი ფულის გადახდას ერიდებიან და საიდუმლოდ ჰყიდიან თავის საქონელს, რითაც ხელს უწყობენ სხვა და-სხვა გადამდებ სენის გავრცელებას.

◆ როგორც „მშაკს“ ბერლინიდან ატყობინებენ, პროფესორებისა და დოქტორებისაგან შემდგარ განსაკუთრებულ კომიტეტს განუზრახავს **ბერლინში სომხურ გამოფენის** გამართვა. ამ გამოფენით უნდა გააცნონ გერმანელთ სომხების წარსული და აწმყო კულტურა. პროგრამა გამოფენისა შემდეგ განყოფილებათაგან შესდგება: 1) წარმოება; 2) ხელოსნობა და ხელ-საქმე; 3) ძველი და ახალი ხელოვნება სომხებისა; 4) ეთნოგრაფია; 5) არქეოლოგია; 6) ლიტერატურა და პრესსა და 7) თეატრი.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტრო ჰფიქრობს შეასუსტოს **ბანქოს თამაში** კლუბებსა და საზოგადო გასართობებში. ამ აზრით სამინისტროსთან შესდგა განსაკუთრებული კომისია.

◆ სამოსამართლო პალატაში 25 იანვრისათვის განსახილველად დანიშნულია **საქმე „ნოვ. ობოზრ.“ რედაქტორის** მ. თუმანოვისა, რომელსაც დიფამაცია ჰბრალდება.

◆ კავკასიის საექიმო ნაწილის გამგე **ბ. ფენომენოვი** ჩერნომორსკი გუბერნიაში წავიდა.

◆ **ერევნის გუბერნიის** სახელმწიფო ქონებათა მმართველი ბ. მილოვი სამსახურს თავს ანებებს.

◆ ამ ზაფხულს, როგორც გვქონდა აღნიშნული, ვიღაც ბოროტ-განმზრახველებმა საკარეჯოელებს თანდილა და სტეფანე კოშკელაშვილებს, მიხა მანუჩარაშვილს და ლუკა მათიაშვილს მოჰპარეს 24 სულამდე საქონელი. ბოროტ-განმზრახველთ თან გაიტყუეს ერთი მწყემსი, ლუკა მათიაშვილი, მოჰკლეს და გზაში გადააგდეს. ეხლახან სიუსპოში მორეკეს საქონელი ბორჩალოს მაზრის სოფელ სარვანის მცხოვრებლებმა, მორეკილ საქონელში ორი ზემოდ აღნიშნულ გლეხებისა აღმოჩნდა. ამ საქონლის პატრონებმა განაცხადეს, რომ ეს ორი სული საქონელი აქსტაფაში ვიყიდეთო.

◆ გუშინ, 11 იანვარს, სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე ბაქოს კერძო ვექილის აკოფოვისა, რომელსაც ნაფიც ვექილის ბაიგოვის მეუღლის მოკვლის განზრახვა ჰბრალდებოდა. აკოფოვი ოლქის სასამართლოს დამნაშავედ უცვნია და გადაუწყვეტია ყოველისავე ღირსების ჩამორთმევა და $2^1/_2$ წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა. სასამართლოს ამასთანავე გადაუწყვეტია აღძრას შუამდგომლობა უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ აკოფოვს სასჯელი 2 თვით საპყრობილეში დაპატიმრებით შეეცვალოს. პალატამ აკოფოვი ამ საქმეში სრულიად უდანაშაულოდ იცნო.

◆ 1-ლ მოგებიან შინაგან სესხის ერთ-ერთი მოგება ტფილისის მცხოვრებსაც ხვდა: ბ. როლდოვს მოუგია 75 ათასი მანათი.

◆ ტფ. საარტილერიო ბრიგადის უფროსი ატყობინებს ქალაქის გამგეობას, რომ 13 იანვრიდან ბრიგადა სროლაში სავარჯიშოდ მიდის დიღომის მინდვრებში და სთხოვს მას გააფრთხილოს მცხოვრებნი, საძოვრებზე საქონელს მოუარონ და გარდა ამისა, მცხოვრებლებმა ხელი არ ახლონ ყუმბარებს, რომელთაც მინდვრებზე იპოვნიან.

პრესსა

მოსკოვის უნივერსიტეტში ამას წინად დაარსებულა საისტორიო და საფილოლოგიო საზოგადოება, რომელიც სხვა-და-სხვა სექციებად დაყოფილა და საგნად აქვს ისტორიულად და ფილოლოგიურად შეისწავლოს და გამოიკვლიოს სხვა-და-სხვა ქვეყნები, უმთავრესად რუსეთის იმპერიის ერები. სხვათა შორის, დაარსებულა აღმოსავლეთის გამომრკვეველი სექციაც და მასთან საქართველოს ისტორიისა და ფილოლოგიის შესასწავლად შემდგარა მცირე სექცია. ამ გარემოებით სარგებლობს ბ-ნი ა. ნ. ჩ. და კვლავ ამტკიცებს, რომ საჭიროა მოსკოვის უნივერსიტეტში დაარსდეს განსაკუთრებული კათედრა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. ამას გამო ბ. ჩ—ს წერილი დაუსტამბავს „პეტერ. ვედომ.“ მე-4 №-ში და ამბობს, ხსენებულ სექციის დაარსება საუკეთესო საბუთია იმისა, რომ მოსკოვის უნივერსიტეტში უთუოდ უნდა დაარსდეს აღნიშნული კათედრაო. ავტორი სამართლიანად ამტკიცებს, რომ მდიდარი წარსული საქართველოსი კარგა ხანია ღირსია ყოველ მხრივისა და ბეჯითის გამოკვლევისა. მიუხედავად ამისა,

> რუსული საისტორიო მეცნიერება უკანასკნელ დრომდე ძლიერ ნაკლებად აქცევდა ყურადღებას საქართველოს. ჩვენ არ გვეგულება რუსულს ენაზე არც ერთი საფუძვლიანი და დიდი თხზულება საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ. არის მხოლოდ რამდენიმე მონოგრაფია, რომელიც შეეხება საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრების ცნობილ მომენტებს, მაგრამ საერთო სურათი საქართველოს ცხოვრებისა ძველად სრულიად არ არის, მაშინ როდესაც საქართველოს კულტურის ისტორია მეტის ყურადღების ღირსი უნდა იყოს.

შემდეგ ავტორი მოკლედ აღნიშნავს საქართველოს ისტორიის მნიშვნელობასა და აგრეთვე თანამედროვე მის ცხოვრების ზრდასა და დასკვნის, რომ ყველა ამას შესწავლა უნდა, რისთვისაც საჭიროა განსაკუთრებული კათედრა დაწესდეს საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესასწავლადო.

ფელეტონი

პატარა ამბები

(საკვირაო ფელეტონი)

დამარხული აკვანი.—ერთის პიესის გმირების გამო.—კიდევ ბ. ჯანდიერის პროექტი.—კიდევ ყვირილელები.—ზღაპარი მოხუცთათვის.

ბაზალეთისა ტბის ძირას
ოქროს აკვანი არისო,
და მის გარშემო წყლის ქვეშე
უცხო წალკოტი ყვავისო...

რა აკვანია ეს აკვანი, რომელსაც თამარის აკვანს უწოდებს პოეტი, ან სად არის საკვირველი ბაზალეთის ტბა, მსურველს შეუძლია ამის ამბავი ლექსის ავტორს გამოჰკითხოს, ან, თუ მოინდომებს უფრო დაწვრილებითი ცნობების გაგებას და გამბედაობასაც გამოიჩენს, უფრო ღრმად ჩაჰხედავს საქმეს, შეუძლია სხვაგანაც მოსძებნოს და გამოიკითხოს.

მე კი იმის თქმა მინდა, რომ ყოველთვის, როდესაც კალამს ავიღებ ხელში და მინდა ჩემის სუსტის, მაგრამ წრფელის გულის წუხილი გადავუშალო მკითხველს, **ერთი რამ** უნდა დასწეროს ჩემმა კალამმა; რაც უნდა საგანი იდგეს ჩემს წინ, რა მოვლენაზედ უნდა იყოს მიპყრობილი ჩემი გონება, რა ფიქრები და გრძნობებიც უნდა აღელვებდეს ჩემს გულს, მაინც ის **ერთი რამ** მუდამ თან არის, გულს და სულს მიწუხებს, აქეთ-იქით მივიხედავ და მინდა ყველაფერს შევტირო, ყველას შევსძახო, მაგრამ ეგ სურვილი ჩემის გულის სიღრმეშივე ჰკვდება, არრას ამბობს სიტყვა, არრასა სწერს კალამი. მწარედ ამოვისუნთქავ მხოლოდ და ამოსუნთქვა არამც თუ არ მიკლავს ნაღველს, კიდევ უფრო და უფრო მიმძიმებს მოშხამულის ცხოვრების ტვირთს...

* *

ერთს გერმანულს პიესაში („ფეიქრები“) შიშველი და მშიერი ფეიქარი ამბობს: „ჩვენ გვშიანო“—„ჩვენ ცხოვრება გვინდა, სხვა არაფერი“, დაუმატებს მერე: „ამიტომაც გადავსჭერით ის ბაწარი, რომლითაც უნდა ჩამოვეხრჩვეთო“.

გასაკვირველი აქ არა არის-რა, ოღონდაც რომ არ არის! ეს ბუნებრივია, სრულიად ნამდვილია, ჭეშმარიტებაა. განა შესაძლებელია, რომ სხვაფერ იყოს? მკითხველი შეიძლება კიდეც გამიჯავრდეს, რა მოსატანი იყო ვიღაც ფეიქრის სიტყვები, ისეთი რა თვალსაჩინო და აღსანიშნავი სთქვა, რომ ყურადღება მივაქციოთო.

მართლა ახალი რა არის?! განა მშიერს არ ძალუძს სთქვას: მე მშიაო? ძალუძს და იტყვის, რადგან აქვს მუცელი, ძარღვი, ნერვი, გრძნობა, აქვს ენა, რომელიც ძირში მოსაჭრელი იქნებოდა, თუ არ იტყოდა, რის თქმასაც მოითხოვდა ადამიანის არსებობა!

ცხოვრება გვინდაო! ვის არ უნდა ცხოვრება? ერთნაირი უფლება აქვს ყველას ცხოვრების და ყოველს ადამიანს შეუძლია მოითხოვოს და მოითხოვოს ხმა მაღლა და არა გლახასავით, მუხლებზე დაცემით, გულში ხელების ჩაცემით, არა ცრემლებით და ტირილით! არა, მთელის თავის ღირსებით და თამამად: ცხოვრება მინდა! ცხოვრება მინდა ადამიანური, რადგან მეც იმგვარივე ადამიანი ვარ, როგორც „სხვა ყოველი! განა ერთნაირად არ სჭირია ყველას საჭმელი, არ შეაწუხებს ავადმყოფობა, ერთნაირად არა გრძნობს ყველა სიცივეს და სიცხეს, განა ყველას არ დასწვავს ცეცხლი, ყველას არ გაუგმირავს ტყვია გულს? განა ყველას ერთნაირად არა აქვს თვალი, ყური და გული?...

იმავე პიესაში მოხუცს, ნამეტანის გაჭირვებისაგან ადამიანის სახეს მოკლებულს, ბაუმერტს საყვედურით მიმართავს მისი ამხანაგი ჰილზე (ჰილზე ეკლესიის მონაა): როგორ არა გრცხვენია, ბებერო, სხვების ფეხის ხმას აჰყოლიხარ, და ბატონს არ ემორჩილებიო! —ბაუმერტს უცებ მართლაც შერცხვება, მაგრამ მერე გაუბედავად მაინც უპასუხებს: „არ ავყვებოდი სხვებს, მაგრამ იცი, ნუ თუ ერთხელაც არ უნდა იგემოს ადამიანმა წმინდა პური?“.

რა მარტივად და მასთან რა საუცხოვოდ არის თქმული! მართლაც, განა პური, ეს ღვთის მონიჭებული უპირველესი საზრდო ადამიანისათვის, არ უნდა მოეპოვებოდეს ვისმე. ან მოეპოვებოდეს მოწამლული, მოშხამული მყრალის სუნნელებით და სავსე ათასნაირ ბაცილებითა და მიკრობებით?

პური არსებისა, წმინდა პური, ადამიანური ცხოვრება—ყველას შეგვიძლია მოვისურვოთ მაინც, თუ არ მოვითხოვეთ! მაგრამ შეიძლება არიან ისეთებიც, რომელთაც არა აქვთ ასეთი სურვილი? შეიძლება მათთვის უფრო სასიამოვნოა დამპალი პური, უფრო მოსწონთ, მშიერნი იყვნენ და თავისი დღენი დალიონ ისეთ ცხოვრებაში, რომელიც აუტანელი იქნებოდა პირუტყვ ცხოველისათვისაც-კი?

შეიძლება, არიან ასეთი ადამიანები! ვინ იცის.

* *

სიტყვამ გაგვიტაცა კალამი. ყველაფერი ეს ძალიან კარგია, მაგრამ საქმის „გადმაა“, ნიცშესებურად რომა ვსთქვათ და თუ ჩვენებურათ ვიტყვით, საქმეს არა შეეხება, ჩვენს საქმეებს!

„მაღალ საგნებზე“ ლაპარაკი ჩვენი საქმე არ არის. „მაღალ საგნებს“ კონტროლი ესაჭიროება, როგორც ბ. მაჭავარიანმა განაცხადა ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტში; თორემ ისე „მაღალი საგნები“ ძლიერ სახიფათოა თურმე და მავნებელი. ჩვენში ხომ საზოგადოდ ძალიან ეშინიათ „მაღალ საგნების“ და თუ წინ-და-წინვე არ მოიწალა, ისე არ გვინდაო!

ამიტომ ისევ ჩვენს „პატარა ამბებს“ დავუბრუნდეთ და პაწაწინა ამბებსაც. კარგა ხანია ამ ამბების შესახებ არა გვილაპარაკნია. ერთის თვის განმავლობაში ბევრი პატარა ამბავი მოხდა ჩვენს ცხოვრებაში..,

უეჭველია, წარსულის წლის ყველაზე უფრო თვალსაჩინო მოვლენად ჩაითვლება საგუბერნიო სამეურნეო კომიტეტების დაარსება. როგორც ქუთაისის, ისე ტფილისის კომიტეტში ბევრმა ორატორმა ისახელა თავი თავის პოლიტიკურ და პოლიტიკურ-ეკონომიურის ცოდნით.

სხვათა შორის, ტფილისის კომიტეტს ბ. ჯანდიერმა ისეთი პროექტი წარუდგინა ზნეობრივ, გონებრივ და ქონებრივ აყვავებისა, რომ, ყოველს ეჭვს გარეშე, პროექტი მთელს რუსეთსა და ევროპას შემოივლის, შეიძლება ამერიკაშიაც გადასკუპდეს. მაგრამ ისიც ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ არსად არ მოიცდის, და სამშობლო ქვეყნისადმი სიყვარულით გატაცებული, ისევ ჩვენს საქართვე-

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 11 იანვარი. მარგანეცის მრეწველთა კრებაზე 11 იანვარს მოისმინეს ინჟენერ ჩერნევსკის მოხსენება შესახებ მარგანეცის გარეცხვისა. მოხსენებამ დიდი და ცხარე კამათი გამოიწვია, სხვათა შორის, საბჭოს თავმჯდომარის ზდანოვიჩისა და ინჟენერ ჩერნევსკის შორის. კრებამ დაადგინა: მოხსენება გადაეცეს საბჭოს შესამუშავებლად. გარდა ამისა, კრებამ პრინციპიალურად დაადგინა გაიხსნას ქიათურაში საშუალო ტეხნიკური სასწავლებელი და მიანდო საბჭოს მომავალ კრებას წარუდგინოს ამის შესახებ მოხსენება.

◆

ქიათურის შავი-ქვის მრეწველთა საზოგადო კრება

(შემდეგი*)

8 იანვარი

განაგრძეს ლაპარაკი ქიათურის პოსადად გადაკეთებაზე.

გ. გ. ემერიკი: ქიათურის პოსადად გადაკეთება დიდად საჭიროა. ქიათურის მთელი ხარჯი თითქმის მარტო მწარმოებელთა ჯიბეს აწევს, როდესაც იქ ბევრი ისეთი კერძო ვაჭარია, რომელნიც ძლიერ ბევრს მწარმოებელს იყიდიან სიმდიდრით. ქიათურის პოსადად გადაქმნის შემდეგ აი ეს ვაჭრებიც შემოგვიდგებიან ხარჯში და რასმე გავაკეთებთ. ჩემის აზრით, საჭიროა, რომ არჩეულ იქმნას ხუთი კაცი და იმათ მიენდოს შუამდგომლობის აღძვრა.

გ. ფ. ზდანოვიჩი: მე ვეთანხმები ბ-ნს ემერიკს, რომ ეს ძლიერ საჭირო საქმეა; ამ საკითხმა ყველას თანაგრძნობა გამოიწვია; ერთი გუბერნატორი იმასაც ამბობდა, რომ ეს ძლიერ სასარგებლო საქმე იქნება, თუ როგორმე მოახერხებთო. მაგრამ ბ-ნ ემერიკის მიერ დასახელებულ საშუალებით ვერაფერს გავხდებით. თუმცა წინასწარმეტყველი არა ვარ, მაგრამ მაინც წინდაწინვე ვამბობ, რომ კომისიის მიერ შედგენილი შუამდგომლობა იმგვარისავე უარით გათავდება, როგორითაც საბჭოს შუამდგომლობა. უნდა სხვა რამე საშუალება მოვნახოთ. ჩემის აზრით, მცხოვრებთ უნდა შეადგინონ განაჩენი, მოაწერონ ზედ ხელი და შემდეგ აღიძრას შუამდგომლობა.

ნ. პ. პრინცი: რასაკვირველია, მრეწველთა და ადგილობრივ მცხოვრებთა შეთანხმება ძლიერ კარგი იქნებოდა, მაგრამ მოუხერხებელია, რადგან იმათი ინტერესები პირდაპირ ეწინააღმდეგებიან ერთმანერთს; უკანასკნელთ, რასაკვირველია, ის უნდათ, რომ ყოველი ხარჯი თქვენს ჯიბეს აწვეს და თვითონ კი თავისუფალნი იყვნენ. ამიტომ უკეთესი იქმნება, რომ შუამდგომლობა პირდაპირ უმაღლეს მთავრობის წინაშე აღიძრას. თავმჯდომარე წინადადებას იძლევა, რომ ქიათურის სახელი „სოფელი“ შეცვლილ იქმნეს.

ი. კაკაბაძე: ჩვენ მარტო ჩვენს ინტერესებს ვიცავთ, მცხოვრებთა ინტერესები კი გვავიწყდება; ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რამდენად სასარგებლო იქნება მცხოვრებთათვის ქიათურის პოსადად გადაქმნა. უსათუოდ განაჩენი უნდა დაადგინონ და მცხოვრებთა წინააღმდეგ არ უნდა წავიდეთ.

გ. ფ. ზდანოვიჩი: ბ-ნ პრინცის მიერ აღნიშნული საშუალება საბჭომ 1901 წელს სცადა, მაგრამ უარი მიიღო. ქიათურა რომ იურიდიულ ერთეულს წარმოადგენდეს, მაშინ მცხოვრებთა $^{2}/_{3}$-მა საკმაო იქნებოდა; ეხლა კი ყველამ უნდა მოაწეროს განაჩენს ხელი. ყოველ შემთხვევაში ვერ გამიგია ბ-ნ კაკაბაძის აზრი, რომელიც ჟურნალისტად ითვლება, თუ გინდ გაზეთ „კვალისა“: მისის აზრით, ქიათურის პოსადად გადაქმნა, ე. ი. თვითმმართველობის შემოღება, მცხოვრებთათვის საზარალოა.

დადგენილ იქმნა: დაევალოს მომავალ საბჭოს, რომ იშუამდგომლოს ბ-ნ გუბერნატორის წინაშე ქიათურას დაერქვას კერძოდ დასახლებული ადგილი („особо населенный пунктъ“).

კრება შესწყდა 15 წუთით.

კრების განახლების შემდეგ თავმჯდომარე გადავიდა პროგრამის § 6-ზე, რომ ქიათურაში დაარსდეს სასამართლოს განყოფილება. „რადგანაც ეს საქმე უკვე გათავებული და გადაწყვეტილია ჩვენდა სასარგებლოდ,—სთქვა მან, ამიტომ მაზედ კამათი აღარაა საჭიროო.“ კრებამ მიიღო წინადადება.

შემდეგ გადავიდნენ პროგრამის მეცხრე მუხლზე, რომ ქიათურაში დაარსებულ იქმნას ხაზინა. „რადგანაც ქიათურაში ხაზინის დაარსება მრეწველთათვის ძლიერ სასარგებლო იქმნება—ფულის გაგზავნ-გამოგზავნა გაადვილდება,—ამიტომ წინააღმდეგი, ჩემის აზრით, არავინ გახდება და კრებამ ეხლავე დაავალოს მომავალ საბჭოს, რომ აღძრას შუამდგომლობა ამ საგნის შესახებო“, სთქვა თავმჯდომარემ.

გ. ფ. ზდანოვიჩი: ამ საგნის შესახებ მე მქონდა ლაპარაკი სახაზინო პალატის გამგესთან, მაგრამ იმან შეუძლებლად სცნო ხაზინის დაარსება ქიათურაში; ბ-ნი გუბერნატორიც ადმინისტრატიულის მოსაზრებით სასარგებლოდ ვერა სცნობს იმის დაარსებას. უკეთესი იქმნება, ვიშუამდგომლოთ, რომ საფოსტო კანტორას ნება მიეცეს განუსაზღვრელად ფულის გაგზავნ-გამოგზავნისა.

ბ-ნ ზდანოვიჩის წინადადება მიღებულ იქმნა.

თავმჯდომარე გადავიდა პროგრამის მე-11 §-ზე, რომ ქიათურაში დაარსდეს შავი-ქვის გასარეცხი ქარხანა. აუხსნა საზოგადოებას, რა დიდი მნიშვნელობა ექმნება მწარმოებელთათვის ასეთ ქარხანას და სთხოვა ჩერნევსკის, რომ წაიკითხოს ამ საგნის შესახებ თავისი მოხსენება. ჩერნევსკის მოხსენება თან არა ჰქონდა.

ნ. გ. ჭიჭინაძე: რადგანაც ეს საქმე სპეციალურ ცოდნას თხოულობს, საჭიროა კომისიას მივანდოთ იმისი განხილვა.

თავმჯდომარე: ბევრი სხვა საკითხიცაა ამგვარი და ყველასათვის ცალ-ცალკე კომისიის არჩევა ძნელი, თითქმის მოუხერხებელია. ამიტომ სჯობს, მხოლოდ კომისიების თავმჯდომარეები ავირჩიოთ და მათ, ვინც უნდათ, ის მოიწვიონ.

ნ. გ. ჭიჭინაძე: თუმცა მე ამგვარის წესის წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ საგანზე რომ ცალმხრივი მსჯელობა არ იქონიონ, უკეთესი იქნება ეხლავე კომისიების არჩევა.

ბ. მოსეშვილი: იმ საკითხების შესახებ, რომელნიც კარგად შემუშავებულია და მოხსენებაც არის დაწერილი, რაღა საჭიროა ხელ-ახალ კომისიების არჩევა. ქიმიურ ლაბორატორიის დაარსების შესახებ, მაგალითად, მშვენიერი მოხსენება აქვს ბ-ნს ზდანოვიჩს და ვსთხოვოთ ეხლავე წაგვიკითხოს.

გ. ფ. ზდანოვიჩი საჭიროდ სცნობს კომისიების არჩევას, მით უმეტეს, რომ კომისიის აზრი კრებისთვის სავალდებულო არ იქმნებაო.

დ. ნ. ბაქრაძე: ბატონებო! რაა ამდენი სალაპარაკო! ვისაც რომელსამე საკითხზე უმუშავნია და მოხსენება დაუწერია, იმასვე მიანდეთ და თავმჯდომარედ ამოირჩიეთ; თვით იმან მოიწვიოს, ვისაც საჭიროდ სცნობს.

თავმჯდომარემ საჭიროდ დაინახა გამოირკვეს რომელ საკითხების შესახებაა დაწერილი მოხსენება და რომლისთვის უნდა არჩეულ იქმნას კომისიები.

გ. ფ. ზდანოვიჩი: მოხსენება ქიმიურ ლაბორატორიის შესახებ მე მაქვს; შავი-ქვის გასარეცხ ქარხნის დაარსების შესახებ—ბ-ნს ჩერნევსკის; სტიპენდიების დასაარსებლად კი, ჩემის აზრით, კომისია არაა საჭირო.

გ. გ. ემერიკი: ჩემი აზრით კი, ამ საქმისთვის ძლიერ საჭიროა კომისია. უნდა შევიმუშაოთ რამე წესი, რომლითაც საბჭომ იხელმძღვანელოს სტიპენდიების დანიშვნის დროს და მიდგომ-მოდგომა აღარ იყოს. ეხლა კი საზოგადო ფული ისე იხარჯება, როგორც საბჭოს წევრთ ჰსურთ.

გ. ფ. ზდანოვიჩი: მე მგონია, უკანასკნელი სიტყვები ბ-ნს ემერიკს უცაბედად წამოცდა, ამიტომ ვსთხოვ უკანვე დაიბრუნოს; ფულის ხარჯვა საბჭოს წევრთა სურვილზე სრულიადაც არაა დამოკიდებული: კრება ჰნიშნავს სტიპენდიებს, საბჭო-კი მხოლოდ ამ დანიშნულ სტიპენდიებს აძლევს.

გ. გ. ემერიკი: საბჭოს არავითარი წესი არა აქვს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს, როდესაც ვისმე სტიპენდიას უნიშნავს. მაგალითად, სტიპენდიის ორი მთხოვნელი რომ მოვიდეს, რომელთაგან ერთი ნათესავია საბჭოს ერთ-ერთის წევრისა, ადვილად შესაძლებელია, რომ უკანასკნელს მისცენ სტიპენდია, თუნდ პირველი იმაზე უფრო ღარიბიც იყვეს. გარდა ამისა, ჩემის აზრით, საჭიროა, ბ-ნს პაპავას მოესპოს სტიპენდია, რადგან იმან კარგა ხანია ფრეიბერგის სამთო აკადემიას თავი დაანება და ბერლინის უნივერსიტეტში შევიდა. მე აქ ბ-ნი პაპავა მხოლოდ მაგალითისთვის მოვიყვანე, თორემ ასეთები სხვებიც არიან.

გ. ფ. ზდანოვიჩი: ბ-ნს ემერიკს რომ თავი შეეწუხებინა საბჭოს სხდომებზე ხშირად სიარულით, მაშინ ამას არ იტყოდა. საბჭოს აქვს სახელმძღვანელოდ შემუშავებული იმგვარივე წესები, როგორიც ყველგან სხვა დაწესებულებებშია: ორ ღარიბ მთხოვნელთაგან სტიპენდიის დანიშვნის დროს საბჭო უპირატესობას იმას აძლევს, ვინც უკეთ სწავლობს; თუ ორი ყმაწვილი ერთნაირად სწავლობს, მაშინ უპირატესობა იმას ეძლევა, ვინც უღარიბესია, და სხვ. რაც შეეხება სტუდენტს პაპავას, უნდა მოგახსენოთ, რომ იმას კრებამ მიუსაჯა სტიპენდია და არა საბჭომ; ისიც ნუ დაავიწყდება ბ-ნს ემერიკს, რომ პაპავა ბერლინის უნივერსიტეტში კი არა, ბერლინის სამთო აკადემიაშია. რაც შეეხება იმას, ვითომ საბჭოს წევრები ნათესავურის გრძნობით იხელმძღვანელებენ სტიპენდიების დანიშვნის დროს, ეს საბჭოს პირდაპირი შეურაცხყოფაა, და მიკვირს, ბ-ნი ემერიკი როგორ აძლევს თავს ამის ნებას! საბჭოს გამტყუნება მხოლოდ იმაში შეიძლება, რომ იგი დიდხანს აჩერებდა თხოვნებს უპასუხოდ, რადგან ცნობებს ჰკრებდა ამა თუ იმ პირის მდგომარეობის შესახებ; ამის გამო საბჭოს პორტფელში თხოვნები ასობით იყრიდა თავს. თქმა, რასაკვირველია, ყველაფრისა შეიძლება, მაგრამ უსაფუძვლო ლაპარაკი კი სირცხვილია.

გ. გ. ემერიკი: ტყუილად ცხარობს ბ-ნი

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2037.

ლოს დაუბრუნდება და ისევ ბ. ჯანდიერის კალთაში ამოჰყოფს თავს!

ბ. ჯანდიერს მარტო ერთი პროექტი არ „შეუთხზავს“; როგორც დანამდვილებით ვიცით, პროექტების მთელი სერია აქვს დამზადებულიო. ზოგი ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობას შეეხება, ზოგი სოციალურს, ზოგი ეროვნულს, ზოგი ესტეტიურსაცო (!).

ერთი პროექტი უკვე აღნიშნული იყო ჩემს ფელეტონში, ეხლა მეორეზე მოვილაპარაკოთ. „როგორ შეიძლება მცხოვრებთა ზნეობრივი ამაღლება?“ სწორედ სერიოზული საკითხია, რომელიც ყოველთვის აინტერესებდა მეცნიერებს და ჭეშმარიტად საინტერესოა: რის მაქნისია რამე, თუ „ადამიანი ადამიანისათვის მგელი იქნება“, როგორც ერთმა ფილოსოფოსმა სთქვა. ზემო მოყვანილ საკითხზე სხვა-და-სხვა მეცნიერი სხვა-და-სხვა ნაირად იძლევა პასუხს: მაგალითად, ბოკლი იტყოდა—გაავრცელეთ განათლება და ამაღლდება ზნეობაო. მარქსი-კი გვიპასუხებდა—შესცვალეთ ეკონომიური პირობები, ქონებრივი ურთიერთობა და ყოველგვარი უზნეობაც მოისპობაო. ბ. ჯანდიერსაც თავისი საკუთარი შეხედულობა ჰქონია; ყური დავუგდოთ, თუ როგორ მოუსპია ერთს სოფელში ავკაცობა, და ბევრს თვალსაჩინო აზრსაც დავასკვნით. „სოფელ ი დილომში, ამბობს ბ. ჯანდიერი: ამას წინათ წესად შემოვიღე მცხოვრებთა სამ დასად გაყოფა ავკაცობის მხრივ; პირველ დასის სიაში მოვაქციე პატიოსანი მუშაკნი და მეურნენი, მეორეში—საეჭვო პირნი და ცუდის ყოფაქცევისანი და მესამეში—ქურდნი და ბოროტმოქმედნი. ეს სიები გამოკრული მქონდა სოფლის კანცელარიის კარებზე“-ო, და მათ დიდი გავლენა იქონიეს გლეხებზე, გვარწმუნებს ბ. ჯანდიერი.

გვრწამს და გვჯერა, რომ გავლენას იქონიებდა და დიდსაც—ვინ ჩამოსთვლის, რამდენ რის აქვს გავლენა საბრალო ჩვენი სოფლის კაცზე,—მაგრამ **როგორი** გავლენა იქონიეს იმ სიებმა?..

ან საიდან მოიპოვა ბ. ჯანდიერმა იმის უფლება, რომ ზნეობრივი ატესტატები დაურიგოს ადამიანებს, დაჰყოს მცხოვრებლები სხვა-და-სხვა ზნეობის კატეგორიებად? დღემდის ჯერ ჯერობით მხოლოდ ღმერთს ეკუთვნოდა ეს უფლება და ევროპის უმაღლეს კულტურასაც ჯერ კიდევ ვერ მოუგონებია ისეთი სასამართლო, რომელმაც დანამდვილებით და სიმართლით უთხრას ვისმე: შენ დამნაშავე ხარ! რა არის ვუთხრათ ვისმე: უზნეო ხარ? ეს იმას ნიშნავს, რომ უდიდესი სასჯელი მივუსაჯოთ, ერთიან გადავაბრუნოთ მისი სულიერი მდგომარეობა, დავსცეთ ძირს მისი პატივისცემა საკუთარის თავისადმი, შევცვალოთ მისი ურთიერთობა სხვა ადამიანებთან, მოვუსპოთ მშვიდობა მის სინიდისს, ეს იმას ნიშნავს, რომ ცოცხლად დავმარხოთ ადამიანი მიწაში!

ისეთი ძნელი და მძიმე არა არის-რა, როგორც ადამიანის ზნეობრივის ფიზიონომიის დახასიათება. ბ. ჯანდიერი კი თითქოს ყოვლის მხილველი არსება იყოსო, ისე, ვითომც უბრალო რაპორტს აწერდეს ხელს, უწოდებს, უწოდებს საჯაროდ „ოფიციალურად“ ზოგს ქურდს და ავაზაკს, ზოგს საეჭვოს (საკვირველი და ახალი ტერმინია, რომელიც არ იცის არც ერთმა მეცნიერმა)! სად მოიპოვა ბ. ჯანდიერმა ასეთი უფლება ადამიანის დამცირებისა, ასეთი უფლება-წაართვას ვისმე, თუნდ სოფლელებს, საკუთარის თავის პატივისცემა?..

* *

საყურადღებო ამბები ხდება ბოლო დროს ყვირილაშიაც. ვერ იქნა და ვერ მოეწყო იქაური ბიბლიოთეკის საქმე. წარსულ თვეში კრება ყოფილა დანიშნული გამგეობის ამოსარჩევად და პირველ კრებაზევე 23 კაცი გამოცხადებულა, რაიც პირველი მაგალითია ყვირილის ისტორიაში. ბევრი სხვა-და-სხვა პარტია ყოფილა, მაგრამ მათ შორის ყველაზე მეტი სიძლიერე გამოუჩენია კაცებს-ფემინისტებს: ქალები, ლამაზი ქალები ავირჩიოთ გამგეობაშიო! გაიძახოდნენ და კიდეც გაიმარჯვეს თურმე.

ამავე პარტიის წევრებმა, როდესაც ათიოდე ქალმა მცირე წრე დაიარსა თავისთვის თვითგანსავითარებლად, გაცხარებით მოითხოვეს: როგორ შეიძლება ქალების ცალკე ყოფნა, ქალებს კავალრები უნდაო; პოლიციითაც კი დაემუქრენ ქალებს და ისე მტკიცედ იცავდნენ თავის პრინციპს, რომ ქალთა წრე იძულებული შეიქმნა სამუდამოდ გამოსალმებოდა წუთი-სოფელს.

უეჭველია, ამავე კავალრების შემწეობით, შემოუღიათ ყვირილაში ახალი საშუალება საზოგადო საქმეების წარსამატებლად. როდესაც რაიმე საქვეყნო საქმე უნდათ გააკეთონ, საჯაროდ გამოაცხადებენ: ამა და ამ ოჯახში კრებაა დანიშნული და თან თითო მანეთი წამოიღეთ ვახშმისათვის, და კრებაზე ანუ ვახშამზე ყოველთვის ბევრი ხალხი იკრიბება. ამას წინად საკვირაო სკოლის შესახებ იყო თურმე დანიშნული ასეთი კრება-ვახშამი. ჯერ ვახშამი გაიმართა, ბევრი სვეს და ჭამეს, ბევრი იმხიარულეს, იმღერეს, იცეკვეს და იარშიყეს, მერე ღამის ორი საათი რომ შეიქნა, თავმჯდომარე (ე. ი. ტოლუმბაში) ფეხზე წამოდგა და მოახსენა კრებას: ბატონებო და ქალბატონებო! ძალიან დავიღალეთ, გვეყოფა დღეს, სხვა საქმეების (ე. ი. საკვირაო სკოლის) განხილვა შემდეგისათვის გადავდვათო.

ქეიფობისაგან მართლაც დაღალული კრება ერთხმად დაეთანხმა თავმჯდომარეს და სხდომა შესწყვიტა.

* *

ბაჟარა ჭლაპარი მოხუცთათვის. „ან, ბან, გან! „ცნობის ფურცელში“ სწერია—„სამშობლოს მოღალატე“, მაშ „ცნ. ფ.“ ჩვენი ერის უარმყოფელია. ეს ერთი!..

„ცნობის ფურცელში“ ნახმარია სიტყვა „მუნჯური მეთოდი“, სჩანს „ცნობის ფ—ი“ ქართული ენის მოსპობას თხოულობს. ეს ორი!..

„ცნობის ფურცელმა“ სთქვა: სომხებთან ერთობა და კავშირი უნდა ვიქონიოთო. სჩანს, „ცნ. ფურცელს“ უნდა, ჩვენი კულტურა, ჩვენი ქონება, ჩვენი ადგილ-მამული სომხებს გადავსცეთ, ჩვენი ენა გავასომხუროთ. ეს სამი!..

მოიტათ ერთი შაური ჩვენს სასარგებლოდ!“

—

ბზ! ბზ! ბზ!

ჰო, ესეც ჩვენი **მეჯღანა** ბზუილა! ნეტავ სად იყო ამდენ ხანს? ალბად სადილს მიირთმევდა, მაღიანი ცხოველია, კარგად ჭამა უყვარს.

მაგრამ ნამეტანს გაძღებოდა და ეხლა ცოდვაა, კვირამდის ვაცალოთ; მოისვენოს.

ზიქუზა

ზდანოვიჩი. მე არავიზე კერძოდ ეჭვი არ მაქვს, მაგრამ საზოგადოდ ყოველი კაცი ასეა, ნათესავურ გრძნობას ყველგან აქვს ადგილი. ჩემს ნათესავს ვისმე ვანოსა და მიშას უფრო დავეხმარები, ვიდრე სხვას, უცნობს, თუნდ ის უფრო გაჭირვებულიც იყოს. მაგრამ ბ-ნი ზდანოვიჩი როგორც ბუნებით, ისე თანამდებობითაც დიქტატორია და არაფერში არ უყვარს თავის შევიწროება, თორემ რისთვის უნდა სწყინდეს კომისიის დანიშვნა! მე, ბატონებო, არავის გრძნობაზე არ მინდა გავლენა ვიქონიო; მე ვამბობ იმას, რაც საზოგადო ინტერესისათვის უკეთესი იქმნება.

ამის შემდეგ ბ-ნმა ზდანოვიჩმა ჩამოსთვალა, ვის რა მოხსენება აქვს დაწერილი.

ს. ა. ქვარიანი: თუმცა მე ამ საახალწლოდ კარგი სიურპრიზი მომართვეს და მოულოდნელად ხმა წამართვეს, მაგრამ, თუ შეიძლება, ვთხოვ თავმჯდომარეს, რომ პროგრამის მე-14 § ის განხილვის დროს (ტარიფის დაკლების შესახებ) განხილულ იქმნეს ჩემი მოხსენებაც, რომელიც უკვე დაწერილი მაქვს.

თავმჯდომარე: ინებეთ! ეს საკითხი ბ-ნს ემერიკს აქვს მინდობილი და შეგიძლიანთ იმას წარუდგინოთ თქვენი მოხსენება.

ბ. გ. ემერიკი: დიდის სიამოვნებით, გთხოვთ; ვისაც ჰნებავს, ყველასთვის ჩემი კარი ღიაა.

თავმჯდომარე: საჭიროა, ავირჩიოთ თავმჯდომარე, რომელსაც უნდა მიენდოს საქმე შავ-ქვაზე გადასახადის რაოდენობის დადგენის შესახებ.

ბ. გ. ემერიკი: არსად იმდენი გადასახადი არ არსებობს არავითარს მადანზე, რამდენიც ჩვენს შავ-ქვაზე. ჩვენ ერთი ასად მეტს ვიხდით, ვიდრე ბაქოს ნავთისა და სამხრეთ რუსეთის მთა-მადნის მწარმოებელნი. რასაკვირველია, კარგი იქმნება, რომ ყოველი ჩვენი მოთხოვნილება დავაკმაყოფილოთ და მდიდრულად ვიცხოვროთ, მაგრამ თუ შეძლება არ გვაქვს, ცოტას უნდა დავჯერდეთ. შევხედოთ ჩვენს ჯიბეს და იმდენი ამოვიღოთ, რამდენიც შესაძლებელია. თუ ბრილიანტის კრიანოსანი და ოქროს ქინძისთავები არა გვაქვს, დღეს-დღეობით უბრალოს დავჯერდეთ. ბ-ნმა ზდანოვიჩმა რა იცის ჩვენი გაჭირვება და ღალხინება! ჩვენ თუ კიდევ გადასახადი მოგვემატა, ცოლ-შვილი ულუკმაპუროდ დაგვრჩება. ბატონებო! ეს საქმე ძლიერ სერიოზულია და კარგად ავწონ-დავწონოთ (ქანდარაზე ტაშს უკრავენ).

ბ. ფ. ზდანოვიჩი: ბაქოსა და სამხრეთ რუსეთის მწარმოებელთა შემოსავალს ვერ შევუდარებთ ჭიათურისას; იქ შემოსავალი ძლიერ დიდია, მოთხოვნილება კი—მცირე; იქ მხოლოდ წარმომადგენლობაზე ეხარჯებათ ფული, თორემ საავადმყოფოები, ქუჩები, აბანოები და სხვა ჩვენსავით საზრუნავი არა აქვთ. ბ-ნი ემერიკი, რაც ეხლა სთქვა, იმასვე ამბობდა სამის წლის წინად, როდესაც შავი-ქვის წარმოება ძლიერ კარგს მდგომარეობაში იყო. ადამიანის წინსვლა იმას თხოულობს მუდამ, რომ მოთხოვნილებანი, რაც შეიძლება, უკეთესად დაკმაყოფილდეს. ეს ეხლა ყველას შეგნებული აქვს, ბ-ნო ემერიკ, და თუ ტაშის ცემით გაჯილდოვებენ, ეს მხოლოდ ქანდარაა, და არა მწარმოებელნი.

ქანდარაზე ყვირილი შეიქნა: „ჩვენც კაცები ვართ, ჩვენც შეგვიძლიან ჩვენის აზრის გამოხატვა და სხვა“.

ყვირილისა და ხმაურობის გამო თავმჯდომარე იძულებული გახდა კრება დაეხურა 9 იანვრის დილის 11 საათამდის.

დონ-ვალიინი

წერილი სიღნაღიდან

თოვლი.—ახალი წელიწადი და ღარიბები.

დიდი თოვლი მოვიდა ამ ბოლოს დროს. ადგილ-ადგ არშინ-ნახევრამდის დასდო, არშინზე ხომ ყველგან იყო. გზები შეიკრა. სოფლიდან აღარავინ შემოვიდა ქალაქში და ქალაქიდანაც გაძნელდა სოფლად გასვლა. სოფლელები დაემწყვდნენ სახლში და სიღნაღელებსაც მოაკლდათ სანოვაგე. გაძვირდა ბაზარში ყოველიფე სანოვაგე, ნავთის ფასმაც კი აიწია. 5 და 6 იანვარს ბაზარში პურის შოვნაც კი არ იყო. რძე ძნელი საშოვარი გახდა და ფასები ხომ ისეთი იყო, რომ არც კი დაიჯერებს ვინმე, ვისაც კი ერთხელაც არის სიღნაღის ბაზარში უყიდნია რძე. შემდეგ ცოტა გადიდარა, თუმცა ხან-და-ხან თოვლი კიდევ. მხოლოდ ცხრაში ამავე თოვლის ქვეშ მოჰყვა მთელი მაზრა სიღნაღისა. თოვლი მოვიდა წინამხარ სიღნაღშიაც, სადაც იშვიათად თუ ერთი დღე გაჩერდება ხოლმე თოვლი. დიდ-ძალ თოვლის სიმძიმეს ვეღარ გაუძლო ზოგიერთი სახლის სახურავებმა და ჩამოიქცა. ჯერ კიდევ მაზრიდან ცნობები არ მოსულა—შეიძლება უბედურება მოხდა სადმე. ეს კია, რომ ცოცხალ-ცოცხალ კურდღლებს იჭერენ თურმე, ბაზარში ბევრი მოიტანეს, და ფრინველიც ბევრი დახოცილა სიცივითა და უსაჭმლობით. სიღნაღის სათავსაცემოდ გამხდარი გზაც თან-დათან ინგრევა. პირველ ადგილზე კიდევ ჩაიქცა და ერთ არშინზე მეტზე შეავიწროვა ისეც ვიწრო გზა. ეხლა ერთი ეტლი ძლივს-და გაივლის და დაცილება იმ ადგილას ხომ ყოვლად შეუძლებელია. დაიწყებს თუ არა თოვლი დნობას და მოისპობა კიდევაც ქალაქის ერთის კუთხიდან მეორეში გადასვლა. მგონი, ტფილისის გზასაც უნდა გამოვეთხოვოთ. ამაზე ქალაქის მამასახლისს უცნობებია გუბერნატორისათვის, ეგებ გვიშველოთ რამეო; მაზრის უფროსსაც სთხოვა, თქვენც სთხოვეთ თქვენის მხრით გუბერნატორს, რომ დაგვეხმარონ, გზა გაგვიკეთონ, რომ უგზოდ არ დავრჩეთ ამ ზამთარშიო.

„თავად არ იყო ძმარიო, ზედ დაასხეს წყალიო“,—ჩვენ, სიღნაღელებს დაგვემართა. ჯერ ხომ სულ გვქონდა აქ, გონებას გამომაფხიზლებელი არა გვებადა-რა, და ეხლა კი ამ თოვლით დატვირთულ ოღრო-ჩოღრო გზებიან ქუჩებში სიარულიც ხომ აღარ შეიძლება—შევიკეტეთ სახლის კარები და მოვუსხედით ბუხრებს, თუ შეშა შეგვყვა, თუმცა წელს შედარებით შეშა იაფია. ეს კი იყო, რომ პირველ იანვარს აქაური მსხვილი მოხელეები ერთად შეიკრიბნენ სადარბაზოდ. ამ ახალ წლის დახვედრა და გართობა კაცისთავს ხუთი მანეთი დაუჯდათ. აი, ამ მხიარულებაში ვიღაცას გახსენებოდა საწყალნი დაჩაგრულნი, თანა-ძმანიც და ეთხოვნა მოძმეთათვის სუფრის ნარჩომი გაეზიარებინათ. მაგრამ, რადგან ნასუფრალი ფრიად ბევრი გამოდგა, ამის გადებას ისევ რამდენისამე გროშის გადადება ამჯობინეს და მოაგროვეს კიდეც რამდენიმე მანეთი... მხოლოდ ვის შეხვდება ან როდის, ამაზე ჯერ ადრეა სჯა და ბაასი.

წვრილი ამბები

—

ნიუ-იორკის დიდი მაღაზიები. მაღაზიების პატრონთ, განსაკუთრებით იმათ, რომელნიც ქალის ტანთ-საცმელით ვაჭრობენ, დიდი ხანია შეუნიშნავთ, რომ ქალები ბავშვებით თუ მოდიან მაღაზიაში, დიდ ხანს არა რჩებიან იქ, ამიტომ ვაჭრობაც ისეთი არ არის, როგორიც ჩვენთვის სასურველიაო—უთქვამს მაღაზიის პატრონებს—და აი რა ხერხი უხმარიათ ყველაფერში მოხერხებულ ამერიკელ მოვაჭრეთ: თავის დიდ მაღაზიებში საზამთრო ბაღები გაუმართავთ, სადაც ზედამხედველად და ბავშვების თვალყურის მგდებლად განსაკუთრებული ქალები მოუწვევიათ. ამ ბაღში სხვა-და-სხვა სათამაშოებია მოწყობილი, რომლითაც ბავშვები თავს იქცევენ, სანამ დედები მაღაზიაში ივაჭრებენ. ადვილად წარმოიდგენთ, ამერიკელი რამდენ ნაირ სათამაშოს მოაწყობდა თავისს მაღაზიასთან გამართულს ბაღში. მართლაც, ბავშვს აღარც-კი უნდა თურმე ამ ბაღიდან გამოსვლა, ისე იტაცებს იქაური სათამაშოები. ამასობაში დედებიც დიდ მაღაზიებში დასეირნობენ, ათვალიერებენ იქაურობას და, რა თქმა უნდა, ისე არ დაივლის, რომ რამე არ იყიდოს კიდევ, მერე კიდევ ენა-მოსწრებული და გაქნილი ნოქარი თუ შეხვდა მყიდველ დედას.

ადვილად მოსალოდნელია, ეს ახალი ჩვეულება ვაჭრობისა მალე სხვაგანაც შემოვა.

* *

საჩუქრის გაცემა. ამერიკელ არხიმილიონერს პირპონტ მორგანს დღესასწაულებზე საჩუქრები დაურიგებია თავისს მოსამსახურეთათვის; სულ დაურიგებია 1 მილიონი და 200 ათასი მანეთი. ამერიკაშიაც-კი გაუკვირდათ ამდენი საჩუქრის გაცემა.

* *

უბედურება. შობის მეორე დღეს ქალაქ კრაკოვში (გალიცია) დიდი უბედურება დატრიალებულა. ამ დღეს დიდი ქარიშხალი ყოფილა, მეხი გავარდნილა და ერთ ეკკლესიას მოჰხვედრია სწორედ წირვის დროს. რამდენიმე კაცი მოუკლავს. რა თქმა უნდა, შიშის ზარი დაეცა ხალხს და ერთი არეულობა მოახდინა, ერთმანერთს შეეჯახნენ თურმე და ამასობაში ასამდე კაცი გაუჟლეტიათ.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 იანვარი

ურალსკი. კასპიის ზღვაში მოსწყდა ყინული, რომელზედაც 80 მეთევზე და ყაზახი იყო. იმათ გადასარჩენად პეტროვსკიდან გემი გაჰგზავნეს.

ვარშავა. ვარშავზე გაიარა ინგლისის საგანგებო დესპანმა, რომელიც სპარსეთის შაჰთან მიდის.

მოსკოვი. დასრულდა სასოფლო-სამეურნეო განათლების მოღვაწეთა კრება.

ვაშინგტონი. ხელი მოაწერეს პანამის არხის შესახებ ხელშეკრულობას.

კიურასაო. გემის „ფადკეს“ უფროსმა მარაკაიბოდან ცნობები მოიღო. როგორც ამ ცნობებიდანა სჩანს, გერმანიის გემებმა „ვინეტას“-მა და „პანტერ“-მა დასწვეს და დააქციეს სანტ-კარლოსი.

სოფია. ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა პროექტი საზოგადო სადამოჟნო ტარიფისა იმ სახელმწიფოთათვის, რომლებთანაც ბოლგარიას სავაჭრო ხელ-შეკრულობანი არა აქვს დადებული.

მარაკაიბო. დღეს გერმანიის გემებმა ხელახლა დაუშინეს ყუმბარები სანტ-კარლოსის სიმაგრეს.

ტანჟერი. სულთანის ჯარმა დაამარცხა ხაინის ტომი, რომელიც ტახტის მაძიებელს მიემხრო.

ბერლინი. სხდომის დაწყებისას ვიცე-პრეზიდენტმა შტოლბერგმა წაიკითხა ბალესტრემის განცხადება „კრეუც-ცაიტუნგ“-ის წერილის თაობაზე; ეს წერილი ბალესტრემის მოქმედებას არჩევს. ბალესტრემმა გამოაცხადა, ნაციონალ-ლიბერალების პარტიას არაფერი საერთო არა აქვს „ნაციონალ ლიბერალ“-ის წერილთანაო. ამნაირად „კრეუც-ცაიტუნგ“-ის წერილს საფუძველი ეკარგება. კონსერვატორებმა, როგორც ეტყობოდა, უნდოთ მიიღეს ბალესტრემის განცხადება.

პეტერბურგი. ხელმწიფე-დედოფალმა მარიამ თეოდორეს ასულმა, ხელმწიფე მემკვიდრემ და დიდმა მთავრინამ მარიამ პავლეს ასულმა 9 იანვარს აკვარელით ნახატების გამოფენა ინახულეს და რამდენიმე ნახატი შეიძინეს.

9 იანვარს გერმანიის კრონპრინცმა მათს უდიდებულესობასთან ისაუზმა. კრონპრინცს ამალა ხელმწიფე-დედოფლის მარიამ თეოდორეს ასულს და ხელმწიფე მემკვიდრეს გამოემშვიდობნენ. სადამოს, ზამთრის სასახლეში ხელმწიფე-იმპერატორის თანადასწრებით კინემატოგრაფიული წარმოდგენა გამართეს. ნაჩვენები იყო სურათები იმ დროისა, როცა მათი უდიდებულესობანი ყირიმს, გერმანიის იმპერატორთან და რეველში ბრძანდებოდნენ.

11 იანვარი.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა უმოწყალესად დაამტკიცა უწმ. სინოდის მოხსენება, რომ ნოვგოროდის სასულიერო სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი დიმიტრი დანიშნულ იქმნას კრემენეცის ეპისკოპოსად და ვოლინის ეპარქიის მეორე ვიკარად.—ანდიჟანში მიწის ძვრის დროს თავგანწირულად მოვალეობის აღსრულებისათვის ებოძათ: პოლკოვნიკს ბენარ-ბეინაროვიჩს წმ. ვლადიმერის მესამე ხარისხის ორდენი, კაპიტან ტუზკოს—წმ. სტანისლავის მეორე ხარისხის ორდენი. პორუჩიკებს დეკონოვსა და ჩერეპანოვსა და პოდპორუჩიკს ელანცევს—წმ. სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენი, 57 ჯარის კაცთ განსაკუთრებულ მამაცობისათვის წმ. ანნას ორდენები და ფულით საჩუქარი: უნტერ ოფიცერს ხიდინსა და სტრელოჩნიკს მიხაილოვს 100 მანეთი თითოეულს, სამ ჯარის კაცს—25 მანეთი თითოს, 15-ს—15 მანეთი თითოს და 36—ათ-ათი მანეთი.—ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ნება დართო შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადო საქმეთა დირექტორს შტურმერს ატაროს წოდება ქალაქ იაროსლავის საპატიო მოქალაქისა.—ქალაქ ტვერში იხსნება სავაჭრო ბანკის განყოფილება. ბანკი მოქმედებას დაიწყებს 1903 წლის 1-ლ მარტიდან.

სევასტოპოლი. ფილტვების ანთებისაგან გარდაიცვალა შავის ზღვის ფლოტის უფროსი ტირტოვი.

ტანჟერი. ფეცდან მოვიდა მთავარ-სარდალი, რომელმაც 36 ტყვე მოიყვანა, ამასთანავე 16 მეამბოხის თავი მოიტანა. ეს ხაინების ოლქში მომხდარ ბრძოლის შედეგია. მდგომარეობა სერიოზულია.

მარაკაიბო. სანტ-კარლოსს ისევ დაუშინეს ზარბაზნები. ფორტი შესამჩნევად დაზიანდა.

ვენა. ჩეხთა კლუბმა გადასწყვიტა ებრძოლოს მთავრობასა და კერბერს ყველა საპარლამენტო საშუალებით.

ხრისტიანია. სტორტინგმა დაადგინა დაწესდეს ნორვეგიული საკონსულოები.

სტოკჰოლმი. ექიმების რჩევით, მეფე აღარ მიდის ნორვეგიაში და გადასწყვიტა მართვა-გამგეობის საქმე დროებით კრონპრინცს გადასცეს.

სტოკჰოლმი. მეფეს დასვენება ურჩიეს; დროებით საქმეების მართვას უშლიან ექიმები.

სოფია. ტყუილია, ვითომ სამინისტრო სამსახურს თავს ანებებდეს.

ლონდონი. დინზს, რომელსაც სახელმწიფოს ღალატი დაბრალდა, სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს.—„მორნინგ პოსტ“ ამბობს, რომ სანტ-კარლოსის სიმაგრეზე იერიში მიტანა სამართლიანი საქმეაო. „დეილი ტელეგრაფი“ ამბობს, უხერხულია, რომ ეს ამბავი სწორედ იმ დროს მოხდა, როდესაც ბოუენი შეუდგა შეთანხმების ჩამოსაგდებად მოლაპარაკების გამართვასო. „სტანდარტი“ ამტკიცებს, რომ გერმანიის გემებს უფლება ჰქონდათ ძალა ეხმარათო.

პარიზი. სამხედრო მინისტრმა განმარტა, რომ უოველთვის ცდილობდა დაეცვა ჯარში კანონისა და დისციპლინის პატივისცემა; ამ განმარტების შემდეგ პალატამ მოიწონა მთავრობის განცხადება და შეუდგა მორიგ საქმეების განხილვას.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

განცხადებანი

—

წიგნების გამომცემელ ამხანაგობის
კიოსკში
იყიდება 1903 წლის
კალენდრები

1) კედ. კალენდარი ფასი 40 კ.; 2) საქართველოს კალენდარი გუნიასი—60 კ. უყდოდ და 70 კაპ. ყდით. 3) პატარა ჯიბის კალენდარი—20 კ. 4) ჩარკვიანის გამოც. კედლის კალენდარი 40 კაპ.

შეიძლება ფასდადებით გაიწეროთ: Тифлисъ, Грузинское Издательское Т—во, ლორის-მელიქოვის ქუჩა.

თმის საღებავი
ნიგვზის
ექსტრაქტიდან
№ 4711

ჭაღარა თმასა გინდა ქერას მოკლე ხანში სასურველად ჰღებავს, როგორც გსურთ: გინდ ღია ფერად, გინდ შავად. რამდენად უფრო ხშირად იხმართ ამ საღებავს, იმდენად უფრო გაშავდება თმა და ამიტომ გაჭაღარავებულს კაცს მალე შეუძლია წინანდელი შავი ფერი დაუბრუნოს თმას.

№ 4711 თმის საღებავი ნიგვზის ექსტრაქტიდან უპირატესობის ღირსია ყოველგვარ სხვა საღებავებთან, რადგან მავნე არაფერი ურევია შიგ.

ნება დართულია ლიფლიანდიის საგუბერნიო მმართველობის საექიმო განყოფილებისაგან № 2753 1896 წლის 12 ოქტომბერს.

ფერდ. მიულგენსი
კელნი რეინზე და რიგა
მის უდიდებულესობის სასახლისათვის სხვა-და-სხვა მასალის დამმზადებელი. (მც. 4.—4)

ამერიკული ვაზის
აფხანაურის სანერგე მიხრან ალექსანდრეს ძის ანანოვისა
(რკინის გზის რიონის სადგურის მახლობლად).

იყიდება ამერიკულ ვაზზე ერთის წლის დამყნილი ადგილობრივ და ფრანგულ ჯიშის ვაზები, 1000 ცალი 100 მან.

ამერიკულ ვაზის რქა დასამყნობად:

Rupestris Monticola 1000 მეტრი . .	15 მ.
Riparia gloire de montpellier	10 „
Berlandieri კარნარევ ნიადაგისთვის.	30 „

ამერიკული რქა დასარგავად:

Rupestris monticola 1000 მეტრი . .	5 „
Riparia gloire de Montpellier	3 „
Berlandieri . . . . , . . .	15 „

მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს ნერგები მომავალ 1903—904 წლ. სეზონისათვის.

ადრესი: Ст. Ріонъ, Михрану Ананову.
(10—467—10)

Дозв. ценз. Тифлисъ, 11 января, 1903 г. ელექტრონის სრამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).